განმარტებითი შენიშვნები

2020 წლის ფინანსურ ანგარიშგებაზე

შპს „სამშენებლო კომპანია იერუ“ დაფუძნებულია „მეწარმეთა შესახებ” კანონის შესაბამისად და რეგისტრირებულია მეწარმეთა და არასამეწარმეო იურიდიული პირების რეესტრში 2009 წლის 14 აგვისტოს.

იურიდიული მისამართი: საქართველო, ქ. თბილისი, გლდანი-ნაძალადევის რაიონი, რკინიგზის ქუჩა №20

საიდენტიფიკაციო კოდი: 200274791

კომპანია ყავს ორი პარტნიორი და ორი დირექტორი.

-საზოგადოების ძირითად საქმიანობას წარმოადგენს:

- საქართველოს ტერიტორიაზე სახიდე გადასასვლელების პროექტირება, მშენებლობა, რეაბილიტაცია, მიწის ვაკისის ჩაწყვეტის საწინააღმდეგო პრევენციული ღონისძიებების განხორციელება, საერთო სარგებლობის საავტომობილო გზების მოვლა-შენახვა, მათი პერიოდული შეკეთება, რეაბილიტაცია, მოდერნიზაცია, რეკონსტრუქცია და მშენებლობა, სხვადასხვა დანიშნულების შენობა-ნაგებობების მშენებლობა, წყალმომარაგების, კანალიზაციისა და სანიაღვრე სისტემების მშენებლობა-რეაბილიტაცია.

- საგზაო-სამშენებლო ტექნიკით მომსახურეობა.

- სამშენებლო მასალების წარმოება და რეალიზაცია.

– სხვა საქმიანობა, რაც მოქმედი კანონმდებლობით არ არის აკრძალული.

- ბუღალტრული აღრიცხვისა და ანგარიშგების სწორ ორგანიზებას უზრუნველყოფს საწარმოს დირექტორი.

ბუღალტრული აღრიცხვის შერჩეული ფორმა და მეთოდები

-ბუღალტრული სინთეზური აღრიცხვა – ელექტრონული ფორმა.

-საწარმო იყენებს ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტებითა და საქართველოს კანონი “ბუღალტრული აღრიცხვის ანგარიშგებისა და აუდიტის”

შესაბამისად მოქმედი ანგარიშთა გეგმას. ძირითად საბალანსო ანგარიშებს შესაძლებელია დაემატოს საჭიროებისამებრ ქვე-ანგარიშები.

ძირითადი საშუალებების აღრიცხვა:

– ნაყიდი ძირითადი საშუალებები შემოსავალში აიღება თვითღირებულებით, რომელიც მოიცავს: ნასყიდობის ფასს, განბაჟების ხარჯებს, არადაბრუნებად გადასახადებს, ტრანსპორტირების, მონტაჟისა და სამუშაო მდგომარეობაში მოყვანის ხარჯებს;

– ფინანსურ ანგარიშგებაში ძირითადი საშუალებები აღირიცხება ნარჩენი ღირებულებით;

– ძირითადი საშუალებების ცვეთადი ღირებულება განისაზღვრება მათი პირვანდელი ღირებულებიდან სალიკვიდაციო ღირებულების გამოკლებით;

– ძირითად საშუალებებს ცვეთა ერიცხება წრფივი მეთოდით.

-საწარმო ძირითადი საშუალებების გადაფასებას ახდენს ძირითადი საშუალებების გადაფასების რეზერვიდან;

არამატერიალური აქტივების აღრიცხვა

– შეძენილი არამატერიალური აქტივი შემოსავალში აიღება თვითღირებულებით, რომელიც მოცავს ნასყიდობის ფასს, განბაჟების ხარჯებს, არადაბრუნებად გადასახადებს და პირდაპირ დანახარჯებს აქტივის გამოსაყენებლად მომზადებისათვის;

– ფინანსურ ანგარიშგებაში არამატერიალური აქტივი აღირიცხება ნარჩენი ღირებულებით;

–არამატერიალურ აქტივს ცვეთა ერიცხება წრფივი მეთოდით.

.

სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების აღრიცხვა

– სასაქონლო-მატერიალური მარაგები ფასდება თვითღირებულებასა და წმინდა სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესით. სასაქონლო-მატერიალური მარაგის თვითღირებულება ეყრდნობა საშუალო შეწონილი ღირებულების პრინციპს და მოიცავს მარაგების შეძენის ხარჯებს,

ცალკეული სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების აღრიცხვა:

– მოხმარებისათვის განკუთვნილი სამეურნეო და საკანცელარიო დანიშნულების საქონელი მარაგებში არ აისახება და შესყიდვისთანავე მიეკუთვნება საერთო და ადმინისტრაციულ ხარჯებს;

– 50 ლარამდე ღირებულების ინვენტარი და ნივთები (კალკულატორი, ტელეფონის აპარატი, ასაკინძი მოწყობილობები და სხვა) მარაგებში არ აისახება და ექსპლუატაციაში გადაცემისთანავე მიეკუთვნება საოფისე ხარჯებს;

– კომპიუტერული ტექნიკის ექსპლუატაციისათვის აუცილებელი ნივთები და მასალები (კატრიჯი, დისკები, ეკრანის გასაწმენდი სითხე და სხვა) მარაგებში არ აისახება და შესყიდვისთანავე მიეკუთვნება კომპიუტერის ხარჯებს;

მოთხოვნების აღრიცხვა

– ასეთი ტიპის აქტივები წარმოიშობა მომხმარებელთათვის საქონლის მიწოდებისა და მომსახურების გაწევისას.

ვალდებულებების აღრიცხვა

– ვალდებულებები წარმოიშვება საქონლისა და მომსახურების მომწოდებლების მიმართ, როგორც რეზიდენტი პირების, ასევე უცხოური კომპანიების მიმართ, რომლებიც წარმოადგენენ ძირითად მომწოდებლებს.

საკუთარი კაპიტალის აღრიცხვა

– საწარმოს კაპიტალი შეადგენს 1 878 401 ლარს (ერთი მილიონ რვაას სამოცდათვრამეტი ათას ოთხას ერთი) ლარს შეადგენს;

– კაპიტალის მოცულობისა და პარტნიორთა წილების ცვლილებები რეგისტრირდება „მეწარმეთა შესახებ" კანონით განსაზღვრული წესით.

ინვესტიციების აღრიცხვა

– მიმდინარე ინვესტიციები აღირიცხება თვითღირებულებით;

– გრძელვადიანი ინვესტიციები აღირიცხება თვითღირებულებით.

შემოსავლების აღრიცხვა

– შემოსავლები აღირიცხება დარიცხვის მეთოდით;

– მომსახურების გაწევასთან დაკავშირებული ამონაგები ბალანსის შედგენის თარიღისათვის აღიარდება ხელშეკრულების შესრულების სტადიის შესაბამისად, თუ შესაძლებელი იქნება მომსახურების შედეგების საიმედო შეფასება.

ხარჯების აღრიცხვა

– ხარჯები აღირიცხება დარიცხვის მეთოდით;

– ხარჯების აღრიცხვის შინაარსი – ფუნქციური დანიშნულებით.

ხარჯებისა და შემოსავლების აღრიცხვა საგადასახადო მიზნისათვის

საგადასახადო კანონმდებლობით დადგენილი 'მოგების გადასახადით' დასაბეგრი განაწილებული მოგება, გაწეული ხარჯები ან სხვა გადახდები/განაცემები, რომლებიც ეკონომიკურ საქმიანობასთან დაკავშირებული არ არის, უსასყიდლოდ საქონლის მიწოდება/მომსახურების გაწევა ან/და ფულადი სახსრების გადაცემა, ასევე სსკ-ით დადგენილ ზღვრულ ოდენობაზე მეტი ოდენობით გაწეული წარმომადგენლობითი ხარჯები აღირიცხება გამიჯნულად ამ მიზნისათვის გახსნილ სუბანგარიშებზე.

მოგება-ზარალი:

წმინდა მოგება ნაწილდება და გამოიყენება:

– დივიდენდების გასაცემად;

– საწარმოს რეინვესტირებისათვის;

– სხვა დანიშნულებით, პარტნიორთა გადაწყვეტილების საფუძველზე.

-მოგების განაწილება და დაბეგვრა ხდება საქართველოს საგადასახადო კოდექსის 98-ე მუხლის საფუძველზე.

მოგების გადასახადი:

– მოგების გადასახადი იანგარიშება დაბეგვრის ახალი მოდელის, კერძოდ ე.წ. ესტონური მოდელის შესაბამისად.

შპს „სამშენებლო კომპანია იერუ"-ს დირექტორი

გერასიმე ზურაბიანი ----------

ფულადი სახსრების მოძრაობა

ფულადი სახსრების მოძრაობა	31/12/2020	31/12/2019
საოპერაციო საქმიანობიდან წარმოქმნილი (საოპერაციო საქმიანობაში გამოყენებული) წმინდა ფულადი ნაკადები	225065	491496
საინვესტიციო საქმიანობიდან წარმოქმნილი (საინვესტიციო საქმიანობაში გამოყენებული) წმინდა ფულადი ნაკადები	-103963	-99888
საფინანსო საქმიანობიდან წარმოქმნილი (საფინანსო საქმიანობაში გამოყენებული) წმინდა ფულადი ნაკადები	77849	0
ფულადი სახსრების შემოსვლა (გასვლა)	198951	391608
ვალუტის კურსის ცვლილების გავლენა ფულად სახსრებსა და მათ ეკვივალენტებზე	0	0
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები საანგარიშგებო პერიოდის დასაწყისში	468609	77001
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს	667560	468609

დირექტორი ---------- გერასიმე ზურაბიანი

საქმიანობის შედეგები		
საქმიანობის შედეგები	**31/12/2020**	**31/12/2019**
ნეტო ამონაგები	3698839	3169634
საქონლის გაყიდვიდან	77265	183398
მომსახურების გაწევიდან	3621574	2986236
სამშენებლო ხელშეკრულებებიდან	0	0
სხვა	0	0
გაყიდვების თვითღირებულება	-2599763	-1496124
საწყისი მარაგები	0	11617
მარაგების შესყიდვა	0	1508311
გადამუშავების დანახარჯები	0	0
საბოლოო მარაგები	0	0
საერთო მოგება	1099076	1673510
სხვა საოპერაციო შემოსავალი	0	0
დასაქმებულთა ანაზღაურება	-51369	-530524
ცვეთა / ამორტიზაციის ხარჯი	-24352	-29696
საპროცენტო შემოსავალი	0	0
საპროცენტო ხარჯი	0	0
იჯარის ხარჯი	0	0
ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯი	-16863	-348352
სულ საოპერაციო ხარჯები	-92584	-908572
საოპერაციო მოგება	1006492	764938
გაუფასურების (ხარჯი) / აღდგენა:		
ფინანსური აქტივების გაუფასურების (ხარჯი) / აღდგენა	0	0
მარაგების გაუფასურების (ხარჯი) / აღდგენა	0	0
სხვა არაფინანსური აქტივების გაუფასურების (ხარჯი) / აღდგენა	0	0
წმინდა შემოსულობა / (დანაკარგი) უცხოური ვალუტით ვაჭრობიდან და სავალუტი	0	0
მიღებული დივიდენდები	0	0
სხვა არასაოპერაციო შემოსავალი / (ხარჯი)	-42672	-36883
მოგება / (ზარალი) მოგების გადასახადის ხარჯამდე განგრძობითი ოპერაციებიდან	963820	728055
მოგების გადასახადის ხარჯი	0	0
საანგარიშგებო პერიოდის მოგება / ზარალი	963820	728055
სხვა სრული შემოსავალი / (ზარალი):		
ძირითადი საშუალებების (მათ შორის, ბიოლოგიური აქტივების) გადაფასების რეზ	0	0
სხვა (მათ შორის წილი ერთობლივი და მეკავშირე საწარმოების უძრავი ქონების გად	0	0
სხვა სრული შემოსავალი / (ზარალი), სულ:	0	0
მთლიანი სრული შემოსავალი / (ზარალი)	963820	728055
საკუთარი კაპიტალი საანგარიშგებო პერიოდის დასაწყისში	913816	243066
ახალი აქციების გამოშვება (შპს-ს შემთხვევაში 'კაპიტალის გაზრდა', კოოპერატივის	0	0
განაწილება მესაკუთრეებზე (მათ შორის დივიდენდი)	0	-57305
სხვა ცვლილებები გაუნაწილებელ მოგებაში	765	0
კაპიტალის სხვა ცვლილებები	0	0
საკუთარი კაპიტალი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს	1878401	913816

დირექტორი ---------- გერასიმე ზურაბიანი

ფინანსური მდგომარეობა

ფინანსური მდგომარეობა	31/12/2020	31/12/2019	31/12/2018
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	667560	468609	77001
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	1245467	739359	214529
სხვა პირებზე ავანსებად და სესხებად გაცემული ფულადი სახსრები	5244	6045	6045
მარაგები	171683	23804	11617
მზა პროდუქცია	0	0	0
სხვა	171683	23804	11617
საინვესტიციო ქონება	0	0	0
სხვა მოკლევადიანი აქტივები	278372	201147	98963
ბიოლოგიური აქტივები	0	0	0
თვითღირებულების მოდელით	0	0	0
გადაფასების მოდელით	0	0	0
გუდვილი	0	0	0
სხვა არამატერიალური აქტივები	0	0	0
ძირითადი საშუალებები	131617	131271	143709
ინვესტიციები შვილობილ კომპანიებში	0	0	0
ინვესტიციები სხვა საწარმოთა წილობრივ ინსტრუმენტებში	0	0	0
სხვა გრძელვადიანი აქტივები	0	0	0
სულ აქტივები	2499943	1570235	551864
ვალდებულებები			
საიჯარო ვალდებულება	0	0	0
სავაჭრო ვალდებულებები	306395	440415	260497
ანარიცხები	0	0	0
ვალდებულებები თანამშრომელთა მიმართ	0	0	0
საგადასახადო ვალდებულებები	194733	35954	47953
გამოუმუშავებელი შემოსავალი	0	0	0
მოკლევადიანი ნასესხები სახსრები	0	0	0
გრძელვადიანი ნასესხები სახსრები	93420	37050	0
მიღებული გრანტები	0	0	0
სხვა ვალდებულებები	26994	143000	348
სულ ვალდებულებები	621542	656419	308798
საკუთარი კაპიტალი			
სააქციო კაპიტალი (შპს-ს შემთხვევაში 'კაპიტალი', კოოპერატივის შ	0	0	0
საემისიო შემოსავალი	0	0	0
გამოსყიდული საკუთარი აქციები	0	0	0
გაუნაწილებელი მოგება / (დაგროვილი ზარალი)	1878401	913816	243066
გადაფასების რეზერვი	0	0	0
საკუთარი კაპიტალის სხვა კომპონენტები	0	0	0
სულ საკუთარი კაპიტალი	1878401	913816	243066
სულ საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები	2499943	1570235	551864
სულ მოკლევადიანი აქტივები	2089954	1438964	408155
სულ მოკლევადიანი ვალდებულებები	528122	619369	308798

დირექტორი ---------- გერასიმე ზურაბიანი